პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მარტი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 55 (14659)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოწინავე მეჩაიე**

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე კლავდია ხარგელია საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობის დელეგატი იყო. მან შარშან 0,6 ჰექტარზე მოკრიფა 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წელს კი კლავდიას გადაწყვეტილი აქვს შარშანდელ მაჩვენებელს ათასი კილოგრამით გადაამეტოს. სურათზე: კლავდია ხარგელია.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საბჭოთა ქალებს

**ძვირფასო** ამხანაგო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს.

გაზაფხულთან ერთად მოდის ეს დღესასწაული. უკვე 6 ათეული წელია აღინიშნება 8 მარტის დღე, რომლის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა.

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის ღირსეულად შეხვედრის ერთსულოვანი მისწრაფების ვითარებაში ცხოვრობს ახლა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლო. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ქალები თანმიმდევრულად ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, მტკიცედ იბრძვიან ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

აღვნიშნავთ რა ქალთა საერთაშორისო დღეს, ჩვენ უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვლაპარაკობთ საბჭოთა ქალებზე. სსრ კავშირის ყველა ისტორიული წარმატება მიღწეულია ჩვენი სახელოვანი ქალების აქტიური მონაწილეობით. ძვირფასო ქალებო, სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს საგმირო საქმეებს ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში, თქვენს შთაგონებულ შრომას სახელოვანი ხუთწლედების წლებში. დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ მთელ ხალხთან ერთად მამაცურად იბრძოდით ფრონტზე და ჰინტლერელ დამპყრობლებზე გამარჯვებას ჭედავდით ზურგში, ძალ-ღონის დაუშურებლად აღადგენდით ომით დანგრეულ სახალხო მეურნეობას. ახლა საბჭოთა ქალები ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

მამაცური შრომისა და საბრძოლო გმირობისათვის თითქმის მილიონ-ნახევარი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ოთხმოცდათერთმეტ ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და 3.925 ქალს — სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ჩვენი ხალხი დიდი მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული დაუცხრომელი მშრომელი ქალებისადმი, მოზარდი თაობის შესანიშნავი და მზრუნველი აღმზრდელებისადმი. ჩვენს ქვეყანაში არ არის სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო ცხოვრების ისეთი სარბიელი, სადაც ნაყოფიერად არ შრომობდნენ შესანიშნავი ქალები, სადაც მათ წინაშე გადაშლილი არ იყოს ტალანტისა და ნიჭის გამოვლინების უსაზღვრო შესაძლებლობანი. ჩარხთან და სამეცნიერო ლაბორატორიაში, მინდორში და კათედრაზე, სკოლასა და სამედიცინო დაწესებულებაში, კომუნისტური მშენებლობის სულ სხვადასხვა უბნებზე — ყველგან ჩვენი ქალები მამაკაცების მხარდამხარ ამრავლებენ სახალხო დოვლათს, ავითარებენ მეცნიერებასა და კულტურას. კომუნისტური პარტია გაზუხრელად ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს საქმეთა მართვაში ქალების აქტიურად ჩაბმის შესახებ. ჩვენი ქვეყნის ადამიანთა შეგნებაში ღრმად დამკვიდრდა ქალის როგორც სოციალისტური სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი და აქტიური მოქალაქის პატივისცემა. ასითასობით ქალი. არჩეულია საბჭოების დეპუტატად, არის წარმოების ხელმძღვანელი, ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას.

პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქალმა აქტიური საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობა შეუხამოს ბედნიერ დედობას, ბავშვების აღზრდას და ოჯახზე ზრუნვას. ჭეშმარიტი პატრიოტები, საბჭოთა ქალები ზრდიან ბავშვებს კომუნიზმის საქმის ერთგულების, ინტერნაციონალიზმის, სამშობლოს სიყვარულის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით. ჩვენს ქვეყანაში მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში ახლა 9 მილიონზე მეტი ბავშვი იზრდება.

წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობები, იზრდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა რიცხვი. საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ სახსრებს გამოჰყოფს წარმოებაში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ამას წინათ მიღებული „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები“ ითვალისწინებენ დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერებას. სოციალური უზრუნველყოფის ფართო უფლებები მიანიჭა კოლმეურნეებს კოლმეურნეობის ახალმა სანიმუშო წესდებამ, რომელიც მოიწონა კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობამ.

საბჭოთა ქალებმა იციან, რომ მათს შრომაზე, ენერგიასა და ნებისყოფაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატებანი, შემდგომი წინსვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თქვენ, ამხანაგო ქალებო, კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ კომუნიზმის მშენებლობაში, გვიჩვენებთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაღალ ნიმუშებს, მხურვალედ გამოეხმაურებით პარტიის მოწოდებას და გაიარაღებთ საყოველთაო სახალხო ბრძოლას მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა ქალებთან ერთად წელს 8 მარტს აღნიშნავს მილიონობით ქალი ყველა კონტინენტზე. საბჭოთა ქალები განუწყვეტლივ აფართოებენ და განამტკიცებენ მეგობრულ ურთიერთობას სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, აქტიურად მონაწილეობენ ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში. მსოფლიოს ქალები ცხადყოფენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ თავიანთი უფლებებისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, თავიანთი შვილების ბედნიერებისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ქალები ყოველნაირად უჭერენ მხარს თავიანთი დების კეთილშობილურ და სამართლიან ბრძოლას კაპიტალის ქვეყნებში. ყველა ქვეყნის ქალებთან ერთად ისინი გადაჭრით გმობენ ამერიკის აგრესიას ვიეტნამში, ისრაელის სამხედრო ხროვის ბარბაროსულ მოქმედებას არაბული ქვეყნების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ საზეიმო დღესასწაულის დღეს უსურვებს საბჭოთა ქალებს დიდ წარმატებებს შრომაში, სიხარულს ცხოვრებაში, კარგ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს ძალასა და შესანიშნავ მიღწევებს.

დიდება საბჭოთა ქალებს!

ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

## ქალი ჩვენს პლანეტაზე

### ფაქტები მეტყველებენ

□ 1969 წელს ქალთა რიცხვმა სსრ კავშირში შეადგინა 129,1 მილიონი, ანუ მოსახლეობის საერთო რიცხვის 54 პროცენტი.

□ **საბჭოთა** ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1966 წელს არჩეული იყო 425 ქალი, რაც დეპუტატების საერთო რიცხვის 28 პროცენტს შეადგენს. კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტებში დეპუტატთა შორის ქალთა რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 91-ე მოწვევის კონგრესის შემადგენლობაში მხოლოდ 11 ქალია.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში 1967 წელს არჩეული იყო 2.953 ქალი, რაც ყველა დეპუტატთა 34 პროცენტს შეადგენს.

დაახლოებით 924 ათასი ქალი, ანუ ყველა დეპუტატთა 45 პროცენტი არჩეულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში.

საბჭოთა ქალებს უჭირავთ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები — მინისტრების, მინისტრის მოადგილეების, სხვადასხვა კომიტეტებისა და საერთაშორისო საზოგადოებების თავმჯდომარეთა პოსტები.

□ **1928 წელს** სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა შორის ქალები შეადგენენ მხოლოდ 2,8 მილიონს, 1969 წელს კი უკვე იყო 44,3 მილიონი ქალი, ესე იგი ყველა მუშათა და მოსამსახურეთა ნახევარი.

# ავამოქმედოთ საწარმოს ყველა რეზერვი

**ჩვენი** რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“.

**განსაკუთრებული** ყურადღება ექცევა წარმოების რეზერვების გამოვლენას... საწარმოთა მშრომელები საჯაგნ პროდუქციის გამოშვების გაზრდის, მისი ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვის, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენების გზებს.

## მექანიზაცია მიწის გულშიც

**თბილგვირაბმშენის** სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელი ერთ-ერთი მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციაა. რესპუბლიკის მრავალ კუთხეში აგებენ მნიშვნელოვან ობიექტებს აქაური მშენებლები, მემონტაჟეები, გვირაბგამყვანები. დედაქალაქში ამ კოლექტივს დავალებული აქვს ერთ-ერთი დამკვრელური ობიექტის — მეტეხის მიწისქვეშა საავტომობილო გვირაბის მშენებლობა. გვირაბგამყვანები თავდადებით შრომობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ; მაგალითად, მიმდინარე წლის თებერვლის დავალება აქ გადაჭარბებით — 129,2 პროცენტით შესრულეს, გაიყვანეს ათობით მეტრი გვირაბი.

მაგრამ გვირაბგამყვანებს მუშაობის ახლანდელი ტემპი მაინც მცირედ ეჩვენებათ. სწორედ ამიტომ გამართეს მათ აქტიური სჯა-ბაასი საერთო კრებაზე, რომელზეც განიხილეს და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი — „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“. წერილი აქაურ მშრომელებს გააცნო პარტიეროს მდივანმა ჯ. ფარქოსაძემ.

— სამუშაოების დაჩქარება შეიძლება, მხოლოდ რეზერვები უნდა გამოვიყენოთ, — აღნიშნა მოხსენებაში ამ სამშენებლო ორგანიზაციის უფროსმა ს. ჭურაძემ, — მეტეხის საავტომობილო გვირაბში შრომატევადი სამუშაოების ახლებური მექანიზაციით შეცვლა შეიძლება. ამიტომ უახლოეს ხანში უნდა დავნერგოთ გაუმჯობესებული საბურღი, ქანების დამტვირთავი მანქანები. თუ ამას მოვახერხებთ, შრომის ნაყოფიერებას 3-ჯერ გავზრდით.

სხვა სამშენებლო უბნებზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციის შესახებ ისაუბრეს სამშენებლო ორგანიზაციის უფროსის მოადგილემ შ. ტუღუშმა, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ს. სალუქვაძემ.

გვირაბმშენებლებმა იკისრეს გვირაბის გაყვანის ტემპი წელს კიდევ უფრო დაჩქარონ.

## დროს ფასი

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“.

სწორედ ამ წერილის განხილვას მიუძღვნა თავისი კრება ჩვენი დედაქალაქის კვების ტრესტის საწარმოთა შორის ერთ-ერთმა მოწინავე საწარმომ — ღვინის № 1 ქარხანამ. კოლექტივის თვალსაჩინო წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზედიზედ 29-ჯერ მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებით, საწარმოო პროცესების მექანიზაციით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციითა და სამუშაო დროის ზუსტი გრაფიკის გამოყენებით კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მიღწევა შეიძლება.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე, იმაზე, თუ რაოდენ არადამაკმაყოფილებელ გაკვლევას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე კუსტარული წესით ბოთლების თაკის დაცობა, ეტიკეტების დათარიღება და მათი ყუთებში ჩაწყობა. ამ პროცესების მექანიზაცია კი ერთისამად აამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას და გამოუთავისუფლებდა მუშათა საგრძნობ რაოდენობას. საჩამმსხმელო ხაზების შეუფერხებელი მუშაობისათვის აქ გადაწყვეტეს თვითეულ მათგანზე თითო მუშა მიამაგრონ. ეს ღონისძიება საგრძნობლად შეამცირებს მოცდენას, გაიზრდება დანადგარების წარმადობა.

კრებაზე დიდი ყურადღება დაუთმეს დროის მაქსიმალურად გამოყენებას. აღინიშნა, რომ საჩამმსხმელო საამქროში შრომის სუსტი ორგანიზაციის გამო ყოველდღიურად იკარგება 10-15 წუთი. ეს უნდა აღიკვეთოს.

კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ვ. ლ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**მშრომელობა** კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსებიდან ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო გაზეთი „მებრძოლი“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
1970 წლის 6 მარტი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**გაზეთ „მებრძოლის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**პარტიულ** ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“ პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვასილ ლეონტის-ძე კიკნაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
1970 წლის 6 მარტი.

## კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოში

**5 მარტს** მოსკოვში მუშაობა დაამთავრა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭომ. საბჭოს წევრები სამი დღის განმავლობაში განიხილავდნენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭომ ერთხმად მოიწონა კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული ფონდის შექმნისა და გამოყენების ახალი წესი. საბჭომ განიხილა აგრეთვე დებულებათა პროექტები კოლმეურნეობათა საკავშირო და რესპუბლიკური საბჭოების შესახებ, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების შესახებ.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წევრებმა მოიწონეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სანიხისტოს მიერ შემუშავებული კოლმეურნეობის შინაგანწესის სანიმუშო წესები.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოში დეტალურად განიხილეს მარცვლეულის რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის საკითხი.

ხუთწლედის უკანასკნელ წელს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანებზე სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მაცკევიჩმა.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ კიევის ოლქის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გ. ბუზნიკი, ზაპოროჟიეს ოლქის კოლმეურნეობა „აჭანგარდის“ მთავარი ეკონომისტი ო. ე. სლობოდანი, ალტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის“ თავმჯდომარე პ. ა. მალინინა, ოდესის ოლქის სკკპ XXI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ა. პოსმიტნი, ტამბოვის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი პუტილოვეცის“ თავმჯდომარე ნ. პ. გლუხოვი, კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეები. სოფლის მეურნეობის მინისტრები: რუსეთის ფედერაციისა — ლ. ი. ფლორენტიევი, უირგიზეთის სს რესპუბლიკისა — მ. უ. უმურალიევი, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — ა. ს. ნეგრუ-ვოდე და სხვები. (საქდესი).

## მეტი ბოსტნეული, ხილი, კონსერვი!

**„საქკონსერვხილბოსტნის“ სისტემის მუშაკთა აქტივის კრება**

□

**მადლიანია** ქართული მიწა! საუცხოო ხილი, ყურძენი, ბოსტნეული ამშვენებს ჩვენს მაგიდას. ხალხისათვის, სახელმწიფოსათვის ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პური და ხორცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაციის გაუმჯობესების, გადამუშავებელი მრეწველობის, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობის განვითარების კონკრეტული პროგრამა. დაისახა კარდინალური ღონისძიებანი იმისათვის, რომ ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი კვების პროდუქტი, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილება. ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ საქართველოში. შეიქმნა მებოსტნეობის, მეხილეობის, მერძეველობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობების განშტოებული ქსელი. მარტო გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად მოჰყავთ 35-40 ათასი ტონა ბოსტნეული, 4.500 ტონა ხილი, კვების სხვა პროდუქტები.

მოსახლეობის ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით, კონსერვით მომარაგების გაუმჯობესებაზე გაიმართა სუბარი „საქკონსერვხილბოსტნის“ სისტემის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებაზე. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრუიძე, საქართველოს სსრ შინსახრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები.

გასული წლის შედეგებისა და 1970 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ თავმჯდომარემ დ. შარაშიძემ.

ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში სამეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 32,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 30,2 პროცენტით. წარმატებით დამთავრდა შარშანდელი წელიც. საწარმოო გეგმა შესრულდა ყველა მაჩვენებლის მიხედვით. რეალიზებულია 11 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წელს. გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ვალდებულებანი. ზეგეგმითმა მოგებამ მთლიანად კომიტეტში შეადგინა 2,5 მილიონი მანეთი.

კრებაში მონაწილეობდნენ „საქხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი გ. დედადარიანი, „საქკონსერვტრესტის“ მმართველი ვ. რევაზიშვილი, „საქხილბოსტანეაბრობის“ მმართველის მოადგილე გ. კოკაია, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ვეჩხუაშვილი, გორის დამამზადებელი კანტორის უფროსი ი. მეყანწიშვილი, „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი ლ. წულუკიძე.

კრებაზე აღინიშნა, რომ სავაგრო ქსელში მიღებული ბოსტნეულისა და ხილის ხარისხი დაბალია. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელი ყურადღებას არ აქცევს პროდუქციის ხარისხს.

სამართლიანი პრეტენზიები წაუყენეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, რომლებიც ხშირად დიდი დაგვიანებით აკმაყოფილებენ დამამზადებელი ორგანოების განაცხადებს მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვისათვის ვაგონებისა და ავტომანქანების გამოყოფის შესახებ.

კრების მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი საიუბილეო წლისათვის. (საქდესი).

## მუშვიდობის აქტიური დაცვისათვის

**6 მარტს** მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საზოგადო მოღვაწე ქალებთან — მშვიდობისათვის მოძრაობის აქტიურ მონაწილეებთან.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა გულთბილად მიულოცა მათ 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე და უსურვა ახალი წარმატებანი კეთილშობილურ საქმიანობაში, კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით ნ. ს. ტიხონოვმა გადასცა მათ საპატიო ჯილდოები მშვიდობის განსამტკიცებლად გაწეული აქტიური მუშაობისათვის.

მედლები „მშვიდობისათვის მებრძოლს“ გადაეცათ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ტ. ნ. ნიკოლაევას, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს — ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს ა. გ. მასევიჩს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ო. ე. ტუგანოვას, მწერალ ა. ბარტოს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პარფენოვას. (საქდესი).

საიუბილეო მედლები, რომლებიც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის 20 წლისთავთან დაკავშირებით დაარსდა, მიენიჭათ პროფესორ ი. გ. ლაგუნოვას, საბჭოთა კავშირის გმირს ი. ნ. ლევჩენკოს, პროფესორ ო. ა. ოლენიკს, საზოგადო მოღვაწეს ლ. მ. პერფილოვას, პროფესორ ნ. ვ. ორლოვას, საბჭოთა კავშირის გმირს ნ. ვ. ტროიანს, „უჩიტელსკაია გაზეთას“ მთავარ რედაქტორს ნ. მ.

# საკადრისი პასუხი პროვოკაციებს

## კრეს-კონფერენცია მეგობრობის სახლში

4 მარტს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. მ. ზამინენმა.

საზოგადო, სახელმწიფო მოღვაწეთა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა, მეცნიერ მუშაკთა — სსრ კავშირის ებრაული ეროვნების მოქალაქეთა ჯგუფმა, თქვა მან, მოგვმართა თხოვნით მიგვეცა საშუალება განცხადება გაეკეთებინათ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე.

ამ განცხადების ტექსტი წაიკითხა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლ. მ. ვოლოდარსკიმ.

ყველა კონტინენტის მილიონობით პატიოსანი ადამიანი გადაჭრით გმობს ისრაელის მმართველი წრეების აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ, ნათქვამია განცხადებაში. ყოველ დღეს ახალი ამბები მოაქვს ისრაელის მზდერაონის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რაც პიტლერელთა ბარბაროსობას მოგვაგონებს. ეს აგრესია გახდა ახლო აღმოსავლეთის ხალხებისა და პროგრესული რეჟიმების წინააღმდეგ იმპერიალისტური, ნეოკოლონიალისტური შეთქმულების შემადგენელი ნაწილი, შეთქმულებისა, რომელშიც მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში ნავთობის მონოპოლიებისა და საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციების ინტერესები.

სიონიზმი, აღნიშნულია განცხადებაში, მუდამ იყო ებრაული ბურჟუაზიის შოვინისტური შეხედულებებისა და, რასისტული ბოდვის გამომხატველი. ახლა მან ამოგდეს მიაღწია ეროვნული შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ქადაგებაში. სიონისტები იმპერიალიზმს აწვდიან საზარბაზნე ხორცს არაბი ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ავსებენ მის გაღარიბებულ „სულიერ არსენალს", ამახინჯებენ მარქსიზმ-ლენინიზმს, აყალბებენ სსრ კავშირის ისტორიას, ცილს სწამებენ მის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში.

ტელ-ავივის სიონისტური წრეები მოქმედებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში არსებული სიონისტურ ცენტრებთან ერთად და ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაული ეროვნების მოქალაქეები მძიმე მდგომარეობაში არიან, სდევნიან მათ და ათასგვარ სხვა მონაჭორს ავრცელებენ მათ შესახებ. სიონისტები ამბობენ, კარგი იქნება, თუ ისინი ისრაელში გადმოსახლდებიანო.

სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად, ნათქვამია განცხადებაში, შრომობენ ებრაელებიც — საბჭოეთის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები — მუშები და ინჟინრები, კოლმეურნეები და აგრონომები, მედიცინის დები და ექიმები, პროფესორები და აკადემიკოსები, ოფიცრები და გენერლები, მწერლები და მსახიობები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა შორის დაახლოებით 8 ათასი არჩეულია შრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. თითქმის 340 ათასი კაცი შრომაში მოპოვებული წარმატებებისა და დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ბევრი მათგანი გახდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირი.

დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანთან ერთად, აღნიშნულია განცხადებაში, ჩვენ ვამბობთ: სიონისტებს ამოძრავებთ ხალხის მასებისათვის უცხო იმპერიალისტური, დაშპყრობლური ინტერესები. ისრაელმა უნდა შეწყვიტოს თავისი აგრესიული პოლიტიკა. ოკუპანტები უნდა გაეცალონ მიტაცებულ არაბულ მიწებს, დედამიწის ამ რაიონში უნდა დამყარდეს მტკიცე შვიდობა იქაური ხალხებისა და სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად სავსებით ვიწონებთ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ყოველმხრივი მხარდაჭერა, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, შვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ უთუოდ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია.

ეს და მხოლოდ ეს პოლიტიკა ემსახურება მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმეს (საკდესი).

# მეცნიერთა გულისწყრომა

მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერთა კოლექტივმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გულისწყრომით გამოთქვამს პროტესტს ისრაელის მმართველი ხროვის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს შვიდობიანი არაბი მოსახლეობის დაბომბვის შეწყვეტას და ამ ბოროტმოქმედების ორგანიზატორთა დასჯას. მეცნიერები აცხადებენ, რომ დიდ სოლიდარობას უცხადებენ არაბი ხალხების ბრძოლას მათი ეროვნული მონაპოვრების დაცვისათვის, იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ, ნათქვამია მეცნიერთა განცხადებაში, სავსებით გუშერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შვიდობიან გადაწყვეტას, ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში არაბი ხალხებისათვის დახმარების გაწევას. (საკდესი).

# სირცხვილი ისრაელ აგრესორებს!

## საქართველოს მშრომელთა პროტესტის ხმა

ქუთაისი, (საკდესი). ქუთაისის მშრომელებმა ჩვენი პლანეტის მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად აღნიშნეს ისრაელთა აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის მსოფლიო დღე, რომელიც შვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით მოეწყო.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა ისრაელი აგრესორებისა და მათი იმპერიალისტი დამჭაშების დანაშაულთა წინააღმდეგ საპროტესტო ხალხმრავალი მიტინგი.

— ჩვენ, ავტომობილმშენებლები, გვმობთ ისრაელის მხედრიონს, რომელმაც მრავალი არაბი ქალის, მოხუცისა და ბავშვის სისხლი დაღვარა, — განაცხადა მიტინგზე მასის სამჭროს მუშამ ჯ. გუგავამ. — მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ტელავიველი ქორები იმავე მეთოდებს მიმართავენ, რომლებითაც ფაშისტი ვეგეზაკები სარგებლობდნენ. ჩვენ ვეუბნებით აგრესორებს: შეწყვიტეთ ბოროტმოქმედება.

გულისწყრომით აღსავსე საპროტესტო სიტყვები წარმოთქვეს ისრაელის მმართველი წრეების ალმაშფოთებელი მოქმედების წინააღმდეგ ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კუხალეიშვილმა, საწეხი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ლ. ფუტკარაძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ს. კერტანიძემ და სხვებმა.

რუსთავი, (საქდესი). მეტალურგიული ქარხნის საამქროებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები ისრაელის მესვეურთა ახალი პროვოკაციების წინააღმდეგ. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისრაელის ბომბდამშენთა ბარბაროსული თავდასხმა აბუ-ზაადალეს შეტალურგიულ კომბინატზე, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იმპერიალისტები აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებენ ახლო აღმოსავლეთში.

მილმდიდავთა ბრიგადირმა ნ. ჩაჩავამ განაცხადა:

— ისრაელის მხედრიონის ხროკები საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ჩვენ, ქართველი მეტალურგები, მტკიცედ გვმობთ ტელ-ავივის მესვეურთა მოქმედებას არაბული ქვეყნებისა მიმართ და მოვუწოდებთ ყველას გააერთიანონ მთელი პროგრესული ძალები აგრესორების ასალაგმავად.

წვრილსორტიან საამქროს მვალცავმა შ. მიქიაშვილმა თქვა:

— მოვითხოვთ, რომ ისრაელმა უთუოდ შეასრულოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ.

მიტინგების მონაწილეებმა მიღებულ რეზოლუციებში მთლიანად და სავსებით მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს არაბ ხალხებს სამართლიან ბრძოლაში.

# მეცნიერთა გულისწყრომა

მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერთა კოლექტივმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გულისწყრომით გამოთქვამს პროტესტს ისრაელის მმართველი ხროვის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს მშვიდობიანი არაბი მოსახლეობის დაბომბვის შეწყვეტას და ამ ბოროტმოქმედების ორგანიზატორთა დასჯას. მეცნიერები აცხადებენ, რომ დიდ სოლიდარობას უცხადებენ არაბი ხალხების ბრძოლას მათი ეროვნული მონაპოვრების დაცვისათვის, იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ, ნათქვამია მეცნიერთა განცხადებაში, სავსებით გუშერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსაღლეთის კონფლიქტის შვიდობიან გადაწყვეტას, ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში არაბი ხალხებისათვის დახმარების გაწევას. (საკდესი).

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# ელვა კუს ნაბიჯით

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი კ. ქავთარაძე

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო კავშირგაბმულობის № 8 განყოფილების მუშაკთა მოუქნელი მუშაობა. კერძოდ, აღნიშნული იყო დეპეშის დაგვიანებით ჩაბარების ფაქტი.

წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა კ. ქავთარაძემ რედაქციას შემდეგი აცნობა.

**გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულ წერილში „ელვა კუს ნაბიჯით" დასახელებული ფაქტი შემოწმებით დადასტურდა.**

**სასწრაფო დეპეშების დაგვიანებით გადაცემისათვის ცენტრალური ტელეგრაფის ტელეგრაფისტს მ. მაჭარაძეს და დამხარისხებელი უნნის უფროსს ლ. ყირიმელაშვილს დისციპლინარული სასჯელი დაედოთ, ხოლო წერილში დასახელებული დეპეშის მოგვიანებით ჩაბარებისათვის და სატელეგრაფო წესების უხეში დარღვევისათვის თბილისის ფოსტამტის უფროსის ბრძანებით კავშირგაბმულობის № 8 განყოფილების ექსპედიტორ-ტელეგრაფისტის გ. აკოფოვას საქმე ამხანაგურ სასამართლოს გადაეცა. ამავე განყოფილების უფროსის მოადგილეს ე. ზიმინას დისციპლინარული სასჯელი დაედო.**

**თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში და ფოსტამტში დაწესებულია კატეგორიული დეპეშების მსვლელობის მკაცრი კონტროლი.**

რედაქციამ მიიღო აგრეთვე თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პარტბიუროს მდივნის გ. კუტალაძის პასუხი. იგი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილი „ელვა კუს ნაბიჯით" განხილულ იქნა პარტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.

მიღებულია კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

# როცა კომკავშირულ ბილეთს გადასცემენ

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, სკკპ წევრის გ. სვანიშვილის კრიტიკული წერილი, იგი ეხებოდა კომკავშირული-ბილეთების შევსებას და გადაცემას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია გვატყობინებს: კომკავშირის თბილისის კომიტეტმა შეისწავლა წერილში მოყვანილი ფაქტები. შემოწმებით გამოირკვა, რომ წერილში აღნიშნული კომკავშირული ბილეთი, რომელიც შევსებულია უხარისხოდ, გაცემულია კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე და კომკავშირული დოკუმენტების გაფორმების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე გაამახვილა კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს ყურადღება, ხოლო რაიკომის საალრიცხვო სექტორის გამგეს ამხ. მ. გოგუაეს საყვედური გამოუცხადა.

## წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

# თავმჯდომარე არ აირჩიეს

**რედაქციამ** მიიღო ვ. გუმბერიძის წერილი, რომელშიც მხილებული იყო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. გუმბერიძის არაკეთილსინდისიერება უოფაცხოვრებასა და მუშაობაში.

ეს წერილი გაეგზავნა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომს. რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. კოხოძე, რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

იმის გამო, რომ ი. გუმბერიძემ თავი ვერ გაართვა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას და წლების მანძილზე კოლმეურნეობა ვერ ასრულებდა ხასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, აგრეთვე ხუსტი იყო საკოლმეურნეო დისციპლინა, მიმდინარე წლის 3ი იანვარს კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ამხ. ი. **გუმბერიძე** არ აირჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

## ფოტოაპარატით მსოფლიოს გარშემო

# ობიექტივშია ზანზიბარი



ზანზიბარი პატარა კუნძულია აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროსთან. იგი შედის ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენლობაში, რობორც ამ კავშირის თანასწორუფლებიანი წევრი. დაბოუბიდან ბლად არსებობის ექვსი წლის განმავლობაში კუნძულის მოსახლეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მთელი მიწა გადაეცათ გლეხებს, შემოღებულია უფასო სამედიცინო მომსახურება და სწავლა, მოხდა კერძო საწარმოების ნაციონალიზაცია.

სურათებზე: (მარცხნივ) სახლის მშენებლობა ზანზიბარის ერთ-ერთ ქალაქში. აქ წარმატებით მიმდინარეობს ხელი კაპარტალების რეკონსტრუქცია, შენდება თანამედროვე სტილის მრავალსართულიანი სახლები; (მარჯვნივ) ზანზიბარის დედაქალაქი (ქ. ზანზიბარი). ქალაქის ძველ ნაწილში ვიწრო ქუჩები გაუფალია ტრანსპორტისათვის.

საქდესის ფოტოკორესპონდენტი.



## ამერიკის შეერთებული შტატები

# კონგრესმენები შეშფოთებული არიან

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი გუშინ გამოვიდა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ სხდომაზე. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა რ. მაკლოსკიმ აღნიშნა, სხდომა თითქმის მთლიანად მიეძღვნა ლაოსის პრობლემას.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, როჯერსი ცდილობდა დაემშვიდებინა კონგრესმენები, რომლებიც შეშფოთებული არიან ლაოსში ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მოქმედების გაფართოებით, და შეენელებინა კონგრესში ამ საშიში პოლიტიკის კრიტიკა.

სახელმწიფო მდივანმა დაარწმუნა სენატორები, რომ „ამერიკის სახმელეთო ძალებს არ გაგზავნიან ლაოსში", თუმცა არც უარუყვია, რომ ამერიკის ავიაციამ გააძლიერა აქტივობა ლაოსში.

სხდომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა უ. ფულბრაიტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ როჯერსთან შეხვედრას არ შეუმცირებია მისი შეშფოთება ლაოსში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების გამო. კონგრესში, ხაზს უსვამს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", „შიშია დასადგურებული ომის გამო, რომ შესაძლოა გაფართოვდეს ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში".

# საჭირო პოლიციელები

ვაშინგტონი, 6 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა პრეზიდენტს თეთრ სახლში ხელმოსაწერად გადასცა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დამატებით გამოიყოს 600 პოლიციელი ამერიკის დედაქალაქში არსებული უცხოთის საელჩოებისა და წარმომადგენლობების დასაცავად.

ამ კანონპროექტის მიღება მოითხოვა პრეზიდენტმა ნიქსონმა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს კრძო მოქალაქეთა გარდა, დამნაშავეობის კატასტროფული ზრდის შედეგად, ძალადობის ობიექტები სულ უფრო ხშირად იყვნენ უცხოეთის წარმომადგენლობანი ვაშინგტონში.

# ძველი მოტივები

ვაშინგტონი, 6 მარტი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ს. აგნიუმ კვლავ მოითხოვა საზღვარგარეთისათვის ეგრეთ წოდებულ „ამერიკის ვალდებულებათა" გადიდება.**

ნიუ-იორკში გამართულ ვიხსმობაზე, რომელიც მოაწყო ერთ-ერთმა საგაჭრო ასოციაციამ, ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაზარდოს სამხედრო ძალიერება. აგნიუს გამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს მომავალში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში და მხარი დაუჭიროს რეაქციულ რეჟიმებს მსოფლიოს მრავალ რაიონში.

## ინგლისი

# ცერემონია ლონდონში

**ლონდონი, 6 მარტი. (საკდესი). ლონდონში გაიმართა დეპოზიტარი ქვეყნების — საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერილი სიგელების შესანახად გადაცემის ცერემონია.**

ცერემონიას დაესწრნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი, საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი მ. სტიუარტი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრები ლორდ ჩალფონტი და ფ. მალი.

ცერემონიაზე გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა ხელშეკრულებას უწოდა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში. მან აგრეთვე გამოთქვა აზრი, რომ სამი სახელმწიფოს დედაქალაქებში დღეს გამართული ცერემონიები ხელს შეუწყობს იმ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიმხრობიან ხელშეკრულებას, დაძლიონ თავიანთი მეოცეობა და შეიგნონ, რომ ხელშეკრულება კაცობრიობას აძლევს ატომური ომის თავიდან აცილების საუკეთესო იმედს.

## ისრაელი

# იყიდეგა საჯარო ვაჭროგით

**რომი, 6 მარტი. (საკდესი). ისრაელის მთავრობა, რომელსაც სასხრები სჭირდება თავისი აგრესიული პოლიტიკის განსაგრძობად, აჩქარებს ეროვნულ საწარმოთა მიყიდვას უცხოეთის მონოპოლიებისათვის.**

როგორც ტელ-ავივიდან იუწყებიან, ამას წინათ მეირის მთავრობამ „ისრაელის ეროვნული სანოსნო-კომპანიის — ციმის" აქციების 50 პროცენტი მიჰყიდა „ჰევრატ იზრაელის" კომპანიას, რომელიც თავის დროზე გახმაურებულ მილიონერთა ირგუსალემის კონფერენციას გადაწყვეტილებით შეექმნა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ფინანსური საქმოსნები. „ჰევრატ იზრაელის" კომპანიაში ძირითადად წარმოდგენილია ამერიკის კაპიტალი. აქციათა საკონტროლო პაკეტს გაყიდვის შემდეგ მთავრობის განკარგულებაში დარჩა ციმის აქციების მხოლოდ 30 პროცენტი. ამიერიდან ამ კომპანიაში, რომელსაც მილიონამდე სარეგისტრო ბუტო-ტონა საერთო წყალწყვის 80 გემი ჰყავს, ხელმძღვანელ როლს შეასრულებს ამერიკის კაპიტალი.

# ინდირა განდის მხარდასაჭერად

**დელი, 5 მარტი. (საკდესი).** ცენტრალურმა მთავრობამ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება, წერს ინდოეთის პრესა და განმარტავს ქვეყნის პრეზიდენტის ვ. ვ. გირის მიმართვის გამო ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში გამართული კამათის შედეგების, რომელიც გუშინ დამთავრდა. „ძალების პირველ დიდ გამოცდაში, — ხაზს უსვამს „ნეშნლ ჰერალდი", — მთავრობამ, რომელსაც ინდირა განდი უდგას სათავეში, უზრუნველყო აშკარა უმრავლესობა რეზოლუციის კენჭისყრის დროს, რომელმაც მოიწონა პრეზიდენტის მიმართვა".

ამ მიმართვაში, რომელიც გამოქვეყნდა 20 თებერვალს — პარლამენტის სხვადასხვა სესიის გახსნის დღეს, ფაქტიურად ჩამოყალიბებული იყო მთავრობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლის მიზანია რადიკალური ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები.

კერძოდ, ნათქვამი იყო მიმართვაში, მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონპროექტებს 14 უდიდესი კომერციული ბანკის განმეორებითი ნაციონალიზაციის შესახებ, ინდოეთის სათავადაზნაურთა ყოფილი მმართველების პენსიებისა და პრივილეგიების ლიკვიდაციის შესახებ, მონოპოლიების ზრდის შეზღუდვისა და მრეწველობაში სახელმწიფოს სექტორის როლის გაფართოების შესახებ.

მაგრამ მემარჯვენე პარტიები, რომლებიც გაერთიანდნენ რეაქციული ბლოკის „კონგრესის ორგანიზაციის", „ჯან სანგჰისა" და „სვატანტრის" გარშემო, შეეცადნენ პარლამენტში დაწყებული კამათი გამოეყენებინათ იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ პრემიერ-მინისტრის დემოკრატიული კურსისათვის.

როგორც „ნეშნლ ჰერალდი" აღნიშნავს, პრეზიდენტის მიმართვის შესახებ რეზოლუციის პროექტში შეტანილი იყო 600 შესწორება. მაგრამ ქვედა პალატამ უარყო ყველა შესწორება და 110 ხმის უმრავლესობით მიიწონა მიმართვა.

## ინდოეთი

## ჩეხოსლოვაკია

# შეხვედრა პრაღის კრემლში

**პრაღა, 6 მარტი.** საკდესის კორესპონდენტი რ. კნიაზევი გვატყობინებს:

**პრაღის კრემლში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ქალთა წარმომადგენლების შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან.** ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის კენჭისყრის დროს, რომელმაც მოიწონა პრეზიდენტის მიმართვა".

ამ მიმართვაში, რომელიც გამოქვეყნდა 20 თებერვალს — პარლამენტის სხვადასხვა სესიის გახსნის დღეს, ფაქტიურად ჩამოყალიბებული იყო მთავრობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლის მიზანია რადიკალური ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები.

კერძოდ, ნათქვამი იყო მიმართვაში, მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონპროექტებს 14 უდიდესი კომერციული ბანკის განმეორებითი ნაციონალიზაციის შესახებ, ინდოეთის სათავადაზნაურთა ყოფილი მმართველების პენსიებისა და პრივილეგიების ლიკვიდაციის შესახებ, მონოპოლიების ზრდის შეზღუდვისა და მრეწველობაში სახელმწიფოს სექტორის როლის გაფართოების შესახებ.

მაგრამ მემარჯვენე პარტიები, რომლებიც გაერთიანდნენ რეაქციული ბლოკის „კონგრესის ორგანიზაციის", „ჯან სანგჰისა" და „სვატანტრის" გარშემო, შეეცადნენ პარლამენტში დაწყებული კამათი გამოეყენებინათ იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ პრემიერ-მინისტრის დემოკრატიული კურსისათვის.

როგორც „ნეშნლ ჰერალდი" აღნიშნავს, პრეზიდენტის მიმართვის შესახებ რეზოლუციის პროექტში შეტანილი იყო 600 შესწორება. მაგრამ ქვედა პალატამ უარყო ყველა შესწორება და 110 ხმის უმრავლესობით მიიწონა მიმართვა.

# ტელეტაიპის ლენტიდან

## ფაქტები

# ყრილობა ნიკოზიაში

● **ნიკოზია, 6 მარტი.** (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა დაიწყო კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის მე-12 ყრილობამ.

ყრილობას ესწრებიან 800-მდე დელეგატი, აგრეთვე 15 ქვეყნის მომე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის ძ. ნ. გრიშინის მეთაურობით.

ყრილობამ მოისმინა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ.

# საბჭოთა ფოტოგამოფენის წარმატება

● **ვაშინგტონი, 6 მარტი.** (საკდესი). გამოფენამ „საბჭოთა ფოტო-1970" ამერიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო.

საბჭოთა ფოტოგამოფენის პოპულარობას, რომელიც ორი ქვეყნის კულტურული გაცვლის პროგრამის შესაბამისად მოეწყო, მოწმობს ის ფაქტი, რომ გამოფენის გახსნის მომენტიდან დამთავალიერებელთა რიცხვი დღეში 4 ათასს აღემატებოდა.

# ურთიერთობა გაწყვიტეს

● **კოპენჰაგენი, 6 მარტი.** (საკდესი). დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ჰარტლინგმა ფოლკეტინგის საგარეო-პოლიტიკური კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ დანია საკონსულო ურთიერთობებს წყვეტს სამხრეთ როდეზიასთან, რომლის რასისტულმა მთავრობამ ქვეყანა „რესპუბლიკად" გამოაცხადა. ამას იუწყება გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე".

# სესია დამთავრდა

● **ადის-აბება, 6 მარტი.** (საკდესი). დღეს დილით მუშაობა დამთავრა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მე-14 სესიამ. „სესიამ წარმატებით ჩაიარა, — განაცხადა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დიალო ტელიმ — მოხარული ვართ ხაზი გავუსვამ, რომ პრაქტიკულად გადაიჭრა დღის წესრიგის ყველა საკითხი".

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის მოხსენების, დეკოლონიზაციისა და აპარტეიდის გამო მიღებული რეზოლუციები, რომლებიც მოიწონა სესიამ, მკვეთრად გმობენ სამხრეთ აფრიკის რასისტულ და კოლონიურ რეჟიმებს, აგრეთვე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც ამ რეჟიმებს ეხმარებიან.

# გემი სსრ კავშირისათვის

● **ბრატისლავა, 6 მარტი.** (საკდესი). „ლენინსკაია ისკრა" — ასე ეწოდება 2.700 ტონა წყალწყვეტს მშრალტვირთიან გემს, რომელიც წყალში ჩაუშვეს კომარნოში. ეს გემი ჩეხოსლოვაკელმა გემთმშენებლებმა საბჭოთა კავშირისათვის აიგეს. ამრიგად, კომარნოს გემთმშენებლებმა შეასრულეს საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. ეს მესამასე გემია, რომელიც კომარნოს გემთსაშენებში საბჭოთა კავშირის შეკვეთით აიგო.

# ... ...

**ნიუ-იორკი, 5 მარტი.** (საკდესი). **სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი გუშინ გამოვიდა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ სხდომაზე. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა რ. მაკლოსკიმ აღნიშნა, სხდომა თითქმის მთლიანად მიეძღვნა ლაოსის პრობლემას.**

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, **როჯერსი ცდილობდა დაემშვიდებინა კონგრესმენები, რომლებიც შეშფოთებული არიან ლაოსში ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მოქმედების გაფართოებით, და შეენელებინა კონგრესში ამ საშიში პოლიტიკის კრიტიკა.**

**სახელმწიფო მდივანმა დაარწმუნა სენატორები, რომ „ამერიკის სახმელეთო ძალებს არ გაგზავნიან ლაოსში", თუმცა არც უარუყვია, რომ ამერიკის ავიაციამ გააძლიერა აქტივობა ლაოსში.**

**სხდომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა უ. ფულბრაიტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ როჯერსთან შეხვედრას არ შეუმცირებია მისი შეშფოთება ლაოსში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების გამო. კონგრესში, ხაზს უსვამს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", „შიშია დასადგურებული ომის გამო, რომ შესაძლოა გაფართოვდეს ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში".**

## 6 მარტი

# ყოველი მხრიდან

### რაზე წერს უცხოეთის პრესა

**მსოფლიო პრესა დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ 5 მარტს ძალაში შევიდა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. გაზეთები ხაზს უსვამენ ამ მოვლენის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას, აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულება შეესაბამება ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხის ინტერესებს. პრესა გამოყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის გამოსვლას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების ცერემონიაზე. რომელიც მოსკოვში გაიმართა. ლონდონის „მორნინგ სტარი" აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოწოდებას ატომური სახელმწიფოებისა და ყველა სხვა ქვეყნისადმი — ყოველ ღონე იხმარონ გამაძლებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღების საქმის წინსვლისათვის.**

**ამ

# ისინი საბჭოთა სამშობლოსათვის იბრძოდნენ

## ცოცხალი ქვეგლი იუარკინოში

**ი**ესფერ ბურუსში გახვეული კავკასიონის ქედების ქვეშოთ, მთის პატარა სოფლის მისადგომებთან, უსახელო ფერდობზე იარაღმომარჯვებული ჯარისკაცი თომა კოპაძე წარბშეკრული გაჰყურებდა შემაძრწუნებელ სურათს: შარაგზის გაყოლებით ლტოლვილები კენესოდნენ, მისტიროდნენ უპატრონოდ დატოვებულ კარ-მიდამოს...

მებრძოლ ვაჟკაცს თვალზე ცრემლი მოადგა, მტრისადმი დაუნდობელი შურისძიების ბოლმა ახრჩობდა. მაგრამ წამიც, და ყველაფერი აირია. შორს დაიქუხეს ქვემეხებმა, ყუმბარებმა კი ახლოს ჰაერში ატყორცნეს ხეები, სახლები, ცხენები, ადამიანები...

ჯარისკაცის მახლობლად, სადაც ქაფადქცეული მდინარე ვიწრო კლდეებს ღრღნიდა და ჰყეფდა, ბარგი-ბარხანით გაჩეჩილ უერმოთან სანთელივით ჩამომდნარი დედა მკერდში იკრავდა გულშეუნახულ მშიერ ბავშვს — ვაი შენს დედას, მალე ავალთ ულილტეხილზე, დედა განაცვალოს, მალე...

ამ სიტყვების დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ მტრის ნასროლმა ყუმბარამ, ქალის წინ იფეთქა, ნაფლეთებად ქცეული დედა ყუმბარის ნამსხვრევებმა აქეთ-იქეთ გაფანტა, სისხლიანი კაბის ერთ ნაწილს პატარას ფუნჩულა თითები ჩაეფრინდა, შეშლილივით მოსთქვამდე ბავშვი: დედა, დედიკო, — ქვაც კი ტიროდა მისი ცოდვით.

— ოხ, ძალლშვილებო, არ შეგარჩენთ ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი ადამიანების ასეთ ტანჯვას, გათელვას, ვფიცავ, შურს ვიძიებ! — აღმოხდა თომა კოპაძეს და სურდა რაც შეიძლება მალე შებმოდა შემოსეულ კაციჭამიებს...

ახლა უკვე გარკვევით ისმოდა ავტომატების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების გამუდმებული ბუღი გრიალი, გამაყრუებლად ღმუოდა მუდამ მშვიდობიანი ხეობა, ტაკიკუნობდნენ საძირკველდამწვარი სახლის ნარჩენები.

ლტოლვილები გოდებითა და ვაშით, გარბოდნენ მთებისაკენ... მგზავრთა თავზე დაუსჯელად გაფრინავდეს გერმანელთა მოიერიშე გამანადგურებლებმა... აწოკებული ფრინველებიც კი წვიალ-კივილით ეხეთქებოდნენ კლდეღრეს.

— მტრის ტანკები, მანქანები,— გაისმა მეთაურის ხმა.

მტვრის ბუღში ჩაიძირა ბალბოსტნები...

— ცეცხლი, ბიჭებო! — დაიძახა არტილერისტმა თომა კოპაძემ და ბუჩქებში შენიღბულ ქვემეხთან თვითონაც ცეცხლივით დატრიალდა. ფუსფუსდა ოცნება — მტერს პირისპირ შეება. მის მიერ მარჯვედ ნასროლმა ყუმბარებმა ბევრ ბალები, ჩვენი სახელოვანი მომავლები შენს დიდებასაც იტყვიან დათო გოგრაჩიანო, იტყვიან ისინი, ვისაც სიცოცხლის უფლება დაუმკვიდრე.

ფრონტის მებრძოლთა შორის ჯარისკაც თომა კოპაძის შესახებ ცოცხალი ლეგენდები მოქმნა. მან ბრძოლით გაიარა ჩრდილოეთ კავკასიის კიკლეული მთები და ველები, კრასნოდარი, ვაჟკაცურად გადალახა მჭეხარე შავი ზღვა და ფენი ყირიმის მიწაზე მოიკიდა.

როცა უკან მოიხედავდა და ცაში აზიდულ კავკასიონის მუდამ ყინულოვან სპეტაკ ულილტეხილს დაინახავდა, მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, იმ წუთშიეე თვალწინ წარმოუდგებოდა მშობლიური ქარელი, მწვანე ხეიენებში ჩაფლული ზემო ხვედურეთი...

გაახსენდებოდა მეზობელი ბიჭების ყრიამული, კამკამა მდინარე, კარიბჭე... და თითქოს სურდა ემღერა ის, რითაც მუდამ აღტაცებული იყო ვაჟკაცი: ჩემო ქარგო ქვეყანავ, რატომ მოგიწყენია, აწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!..

მაგრამ ჯარისკაცს ამდენი ფიქრებისათვის დროც არა ჰქონდა და ან ვინ დააცლიდა.

ბობოქარი ზღვის მახლობელ კონცხზე გამაგრებული მტრის საცეცხლე წერტი მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს ქვეგანაყოფს. არტილერისტ თომა კოპაძეს ნაბრძანები ჰქონდა მოესპო მტრის ტყვიამფრქვევის ბუდე.

თომამ პირდაპირ საარაკო ამბავი დაატრიალა. როცა ქვემეხით გერმანელი მოუხვიხეს, მან მეთაურს სთხოვა, პირადად ჩაეკონტროლა სეკვდილის ბუნაგსო. იგი ფრთხილად აჰყვა პიტალო კლდის ქიმის ერთ მხარეს.

— ესეც შენ, შენი... დაიძახა და უმალვე მტრის საცეცხლე წერტილში ხელყუმბარა შეაგდო. იქ იმ წამსვე სეკვდილმა დაისადგურა.

ჯარისკაცს ვერ დაივიწყებ ქალაქი ფრონტის სანგარში ფაქიზი სულით დაწერილ სტრიქონებს. ახლაც გულით ატარებს ხვედურეთში მცხოვრები ოჯახის დედაბოძი ნინო კოპაძე სამკუთხად დაკეცილ ოდნავ გახუნებულ წერილებს.

...არ მიწყინოთ, თუ ბარათი დაგიგვიანეთ, ეს-ეს არის ცხარე ბრძოლის შემდეგ ქერჩის მაღლობზე სანგარში შეგისვენე, — ასე იწყება ფანჯრით დაწერილი ჯარისკაცის ერთ-ერთი წერილი მეუღლისადმი, — ღამის წუთიერი სიჩუმეა. სიჩუმე კი ფრონტზე ერთობ მაცდურია, ზოგჯერ სეკვდილის წინამორბედია. ხანდახან შორს უხილავ ჰორიზონტთან ციალის მსგავსად ვარდისფერი ლაქები ელვარებენ. ეს გერმანელების მიერ ცეცხლწაკიდებული სოფლების სინათლეა. იფერფლება ბევრი ბალები, ჩვენი სახელოვანი მომავლები შენს დიდებასაც იტყვიან დათო გოგრაჩიანო, იტყვიან ისინი, ვისაც სიცოცხლის უფლება დაუმკვიდრე.

...ალბათალია, წლები მალე გარბიან, მაგრამ სახელოვანი წარსულის დაკიწყება შეუძლებელია. ვერაგ მტერზე გამარჯვების ოცდახუთი წლისთავს მოგილოცავთ, ჩემო ქართველო უცნობო საყვარელო დედავ! ოცდაექვსი წლის წინათ, როცა ყირიმში გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა, თქვენი შეიყლეო თომა დედაჩემმა ჩვენს დაცხრილულ ბაღში დაასაფლავა გულზე ორი სურათი დაადო, ერთი თქვენი და მეორე თქვენი ვაჟიშვილებისა, ყოველდღე დასტიროდა დედიკო უცნობი ქართველი ჯარისკაცის საფლავს, თვითონაც ელოდა ფრონტზე წასულ მეორე ვაჟკაცს, ჩემს ძმას, მაგრამ ამაოდ, დედა გადაჰყვა დარდს. თომასა და მისი მეგობრების საფლავს ახლა მთელი სოფელი დაჰფოფინებს. და განა მარტო მეზობლები?

დედება თქვენ, ქართველო ქალო! თომას სახელობისა ხეც დავრგეთ, და ამაყად შრიალებს...

ყველაზე ძვირფასი, უკადავი ძეგლი ჩვენს გულში დაიდგა თომამ!...

მეორე დღესვე ყირიმში თომას ვაჟკაცი დიმიტრი კოპაძე გაფრინდა, თან ქართული მიწა წაიღო და იქ ძმათა სასაფლაოს მოაყარა. ენით აუწერელი იყო იურკინოს მკვიდრთა შეხვედრა ამ კაცის შვილთან, რომელმაც ყირიმის გათავისუფლებას ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

ბებია ნინო, — მალიმალ ისმის თომა კოპაძის ოჯახში. ახლა მისი რვა შვილიშვილი ახალისებს კარიბჭეს, შეხარიან: პატარა თომას, ციკინოს, გოგის, კობას, ქეთინოს, ნუნუს, ავთოს, მაიას...

ჯარისკაცის ქვრივი აღარ იცრემლება, სიცოცხლე გრძელდება მის ბედნიერ ოჯახშიც. თომა კოპაძე ერთი ამათგანია, ვინც სამამულო ომის მრისხანე დღეებში სამშობლოსადმი ერთგულება, გმირობა გამოიჩინა, ვინც ადამიანებს მშვიდობა, ბედნიერება დაუმკვიდრა.

ხალხი არასოდეს არ ივიწყებს გმირებს!

**აკ. გოცირიძე.**

სურათზე: სამამულო ომში დაღუპული მებრძოლების ძმათა სასაფლაო სოფელ იურკინოში.

## ქართველი იბრძოდა

# ლენინგრადის მისადგომებთან

**ნ**ოემბერი გათენდა 1944 წლის 20 ივნისი. ღრუბლები დაეშვნენ. თოვდა. სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. დღის დადადებას თან მოჰყვა ყუმბარების აფეთქების ხმა და ტყვიამფრქვევების გულისწამღები კაკანი. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი იდგა...

ლენინგრადის მახლობლად, დაბა ლებიაჟიეს სველე ჰოსპიტალში სიცოცხლის გადასარჩენად დღე და ღამ იბრძოდნენ თეთრხალათიანები. აქ მოიყვანეს სერჟანტი გოგი ელერდაშვილიც, მას მუცლის არეში ჰქონდა ჭრილობა. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია.

გიორგიმ ჯერ კიდევ ომამდე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა მიატოვა მშობლიური ქალაქი, კახეთის მშვენიერი მთები და ჭალები, დედა, დები, . პროფესორ-მასწავლებლები, მეგობრები, გულის სწორი და... ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელში შევიდა.

არც შემცდარა არჩევანში. ადამიანი სწორედ იმ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, რომელიც მოსწონს, უყვარს.

სწორედ აქ, ჩრდილოეთის მიწაზე მოუსწრო ქართველ ჭაბუკს დიდმა სამამულო ომმა.

ლეიტენანტი ნ. ორლოვი წიგნში „ლენინგრადის მისადგომებთან“ გიორგის გმირობის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე გვიყვებს:

„მტრის ტანშეიარაღებ ფრთხილად მიხოხავდნენ თეთრი ტანსაცმლით შენიღბული მზვერავები. თოვლის ხრაშუნმა მტრის ყურადღება მიიქცია. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, წამოვიდა ცეცხლის წვიმა. დაყოვნება, ან უკანდახევა არ შეიძლებოდა, „მოენე“ უნდა მოეყვანათ — ასეთი იყო ბრძანება.

მზვერავები „ვაშას“ ძახილით წამოიმართნენ და წინ გაიშურნენ. პირველი გიორგი ელერდაშვილი იყო. ჩახტა თუ არა თხრილში, მისკენ ხიშტმომარჯვებული გერმანელი გამოემართა.

ელვის სისწრაფით აღიმართა გიორგის რეიოლვერმომარჯვებული ხელი. ხიშტს იარაღი აჰკრა და გერმანელთან პირდაპირ შესაბრძოლებლად მოემზადა. ვიდრე ხელს შეახებდა, ფაშისტი მის ფეხებთან მოცელილივით დაეცა — რომელიღაც მებრძოლმა ზუსტი სროლით დაასწრო ელერდაშვილს. სერჟანტმა სინანულით თქვა: ტყვეცხლად უნდა შეგვეპყრო... ბლინდაჟისაკენ გაქანდა.

ბლინდაჟთან ორი ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქების ტალღამ კარი ჩამოგლიჯა, და ბლინდაჟში ერთ-ერთი პირველი ელერდაშვილი შეიჭრა...

ბევრი სისხლის დაკარგვამ უზომოდ დაასუსტა გოგი. დაბა ლებიაჟიეს ადგილობრივმა მცხოვრებმა ევგენია კრიუკოვამ გადაუსხა ქართველ მეომარს საკუთარი სისხლი, მაგრამ... ყოველგვარი სამედიცინო დახმარება უშედეგო აღმოჩნდა... მეორე დღეს, როცა ჭაბუკის გულმა სიცოცხლესთან განშორება იგრძნო, მოწყალების დას გიტარა მოსთხოვა...

სიმღერით გამოეთხოვა სიცოცხლეს 22 წლის ვაჟკაცი, ხანმოკლე მაგრამ მშვენიერ სიცოცხლეს, რომელიც ასე ძალიან უყვარდა და ყველაფერი გააკეთა, რომ ადამიანებს ჰქონოდათ მშვიდობა, ბედნიერება...“

თბილისში ნამდვილი სამხრეთული ზამთარი იდგა, თბილი და მზიანი. ნინოს საოჯახო საქმეები მოეთავებინა და ფრონტელი შვილისთვის წინდას ქსოვდა. მაგიდაზე გოგის უწანასკნელი წერილი იდო:

„საყვარელო მშობლებო, გიგზავნით წიგნს, სადაც ჩემს შესახებ სწერია. სანამ ცოცხალი ვარ, არ შეგარცხვენთ... მოკითხვა ყველას. გაოცნით ბევრს. თქვენი დანატრებული შვილი გოგი ელერდაშვილი“.

სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა... ფოსტალიონმა ახალი წერილი მოიტანა. მას ამჯერად ჩვეულებისამებრ არ მოუცია გაგეგო მოტანილი ბარათის შინაარსი. დამნაშავესავით გაიპარა...

რუსულად ნაწერი მოკლე ბარათი შვილის გმირულად დაღუპვას ამცნობდა დედას...

1944 წლის 27 იანვარს, გოგის დაღუპვის მეექვსე დღეს ლენინგრადთან მტერი დამარცხდა; მოიხსნა ქალაქის ბლოკადა. მას შემდეგ 25 წელი გავიდა, მაგრამ ეს ამბავი და ბევრიც სხვა არ მისცემია დავიწყებას. ლებიაჟიელი პიონერები თამბიდან თამბას გადასცემენ წმიდათა წმიდა მოვალეობას — მოუარონ ქართველ გმირის საფლავს.

ლებიაჟიეს არყის ხეების დაბურულ ბაღში ძმათა სასაფლაოს მახლობლად განცალკევებით დგას მზრუნველად მოვლილი ქართველი მეომრის საფლავის ნიშანსვეტი ქართული და რუსული წარწერით.

სულიერი სიმტკიცითა და რწმენით ადამიანები სასწაულებს ახდენენ. ლენინგრადის გმირებმაც მოახდინეს სასწაული. მათ გაუგონარი თავგანწირვით, საკუთარი სიცოცხლით იხსნეს ეს ულამაზესი და უძვირფასესი ქალაქი.

**მედეა რამიშვილი,**
**ნინო ახალკაცი.**

□ □

# კავკასიისა და კარპატებისათვის

### ქმბკავი გიორგი შავლუხაშვილის ბატალიონისა

**ერთ** ქართველ მეგობარს შევხვდი ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნა დუკლის ულილტეხილზე ბრძოლების 25 წლისთავს. ეს იყო საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეომრების საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცელი.

ჩემი მეგობარი ათვალიერებდა სამახსოვრო დღეების დოკუმენტებსა და რელიკვიებს და შეჩერდა სტენდთან, რომელზეც სამხედრო რუკები და ფოტოსურათები იყო. ერთ-ერთ სურათზე სასაზღვრო ნიშნთან აღმიჩენილი იყვნენ ჩვენი ქვეითი მეომრები, პირველებმა რომ მიაღწიეს „სლოვაკიის კარს“.

და უცებ:

— შეხედეთ, — თქვა მან, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ჩეხურ ისტორიულ ჟურნალს „სლოვანსკი პრეკვ

“, — აქ წერია: „ველიტელ პრაპორუ გ. ნ შავლუხაშვილი“. რას ნიშნავს „ველიტელ პრაპორუ“?

— „ველიტელ პრაპორუ“ ნიშნავს „ბატალიონის მეთაურს“, — მეკანიკურად ვუპასუხე და იმ წამსვე შევძახე: — შავლუხაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე! ეს ხომ ჩემი თანაპოლკელია! — გავიმეორე და არა მჯეროდა, რომ ასე მოულოდნელად წავაწყდი ჩემს ამხანაგს.

გამახსენდა ომის პირველი ზაფხული. ბრძოლა საუცხოო უკრაინულ მდინარე პსიოლზე გადასასვლელისათვის. ეს მდინარე ჯერ კიდევ გოგოლს აქვს აღწერილი... მედიცინის დებისა და ქირურგების მზრუნველი ხელები ჰოსპიტალში. შემდეგ კი მებადურთა პატარა ქალაქი ყასპის პირას ირანის სანაპიროს მახლობლად.

აი სწორედ იქ გაეკეთა ტხეონსანთა სათადარიგო ნაწილი გიორგი შავლუხაშვილი. ჯარისკაცებს უყვარდათ ეს მზრუნველი და მომთხოვნი მეთაური, რომელიც მოხალისედ მივიდა არმიაში რკინიგზის მილიციის ორგანოებიდან საწყლუხაშვილის ესკადრონი სანიმუშო იყო — იქ აფასებდნენ დაძაბული საბრძოლო სწავლების ყოველ წუთს, ემზადებოდნენ მშობლიური კავკასიის დასაცავად. ბგვისტოში დავშორდით ერთმანეთს, მე და გიორგი ნიკოლოზის-ძე — ფრონტებზე წავედით. ზოგი მოხვდა მოზდოკისა და გიხელის, ზოგი კი ტუაფსის მიმართულებით. გიორგი, მგონი, „მცირე მიწაზე“ იყო. მას შემდეგ აღარაფერი ვიცოდი მის შესახებ. და აი ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, პრაღის ჟურნალში წავიკითხე, რომ ჩემმა ქართველმა მეგობარმა პირველმა „შედგა ფეხი მოძმე ჩეხოსლოვაკიის მიწაზე.

უნდა ვთქვა, რომ ამ სტრიქონებმა აღმძრეს სიამაყის გრძნობა ჩემი მებრძოლი ამხანაგებისათვის, რომლებმაც ძნელი გზა გაიარეს კავკასიის მთებიდან შორეული ტატრების მწვანე მწვერვალებამდე.

ყურადღებით, რამდენჯერმე გადავიკითხე სამხედრო ცნობა გიორგი შავლუხაშვილის ბატალიონზე, რომელიც მოყვანილი იყო ჩვენი დიდი მეგობრის, მეცნიერი ისტორიკოსის ჩესტმირ ამორტის სტატიაში, „დუკლის ბრძოლის დასაწყისი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საარქივო დოკუმენტების საფუძველზე“. მისი ავტორი წერდა, რომ მე-3 სამთო მსროლელთა კორპუსის ნაწილებმა, რომელსაც გენერალი ვედენინი მეთაურობდა, ჯერ კიდევ 1944 წლის 20 სექტემბრის დილით, მიინჭაროდნენ რა გმირ სლოვაკიელ ჯარისკაცებთან დასახმარებლად, დუკლის ულილტეხილის ლაბ... დე 16 დღით ადრე გადმოხვეს ... ბოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარი. ხოლო ჩეხი მეგობრის სტატიის გვერდით ჩვენ ვნახეთ 1969 წლის 29 ოქტომბრის „იზვესტიის“ ამონაბეჭდი. თავის მოგონებებში „ანთავეს“ ... „ლი იმიერკარპატები“ საბჭოთა ... ბრძოლის მარშალი ი. გრეჩკო წერდა: მამაცობისა და გმირობის მაღალი ნიმუშები გამოიჩინეს 242-ე დივიზიის მე-900 სამთო მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის მეომრებმა (ბატალიონს მეთაურობდა კაპიტანი გ. შავლუხაშვილი). მათ ჰიტლერელები განდევნეს საყრდენი პუნქტებიდან, რომლებიც საზღვრის პირას მდებარეობდნენ, და 20 სექტემბერს 12 საათზე პირველებმა შედგეს ფეხი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე“.

შავლუხაშვილს ბატალიონს დიდი დახმარება გაუწიეს ჩეხოსლოვაკიელმა პატრიოტებმაც. 19 სექტემბერს ღამეს ბატალიონში მივიდა ორი ადგილობრივი მცხოვრები. მათ ითხოვეს მიეყვანონ მეთაურთან. ესენი იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქეები იან ვაცლავეკი და იულიუს მულეკი. მათ ბატალიონის მეთაურს შესთავაზეს ეჩვენებინათ უმოკლესი გზა მტრის ზურგში. ამან პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში და აიძულა იგი უკან დაეხია.

რა ძვირფასია ჩვენთვის, კარპატებში ბრძოლების მონაწილეებისათვის, ფურცლები საბჭოთა მეომრებისა და მათი სლოვაკიელი მოძმეების მამაცობისა და გმირობის შესახებ.

იმ საღამოს დიდხანს ვუამბობდი უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩემი მებრძოლი ქართველი ამხანაგების შესახებ. ვუამბობდი ქართველებზე, რომლებიც ჩვენს ესკადრონში მსახურობდნენ: ყაზბეგელ მასწავლებელ შალვა ჩიტაშვილზე, ძმებზე დავით და მიხეილ ბურჯანაძეებზე, სოხუმელ ტანჯისტ ბორის ახალაიაზე და სერჟანტ კუჭრაშვილზე, რომლებიც ყველაზე მოკლე ღამეს იბრძოდნენ საგუშაგოებთან ბუგის ნაპირზე. ჩვენი პოლკის — „მაიორ ინაურის პოლკის“, როგორც ორმოცდაერთში წერდნენ გაზეთები, — რიგიდებზე.

ვიცი. რომ ყველა ჩემი მეგობარი როდი დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოს აყვავებულ ველებში. ბევრ მათგანს საუკუნო ძილით სძინავს დონზე და ვისლაზე, კავკასიისა და კარპატის მთებში. იქნებ ეს სიტყვები წაიკითხონ მათმა თანამებრძოლებმა და მივიღო ბარათი ჩემი მომძე კომუნისტებისაგან შალვა ჩიტაშვილისა და გიორგი შავლუხაშვილისაგან.

**ს. ბოგოიავლენსკი,**
**თადარიგის პოდპოლკოვნიკი.**
**ქ. ვორონეჟი.**

## გმირთა უკვდავსაყოფად

□

## ვინმოუსალელთა ხსოვნას მიეძღვნა

ჟუთაისი, (საკ. კორ.). საოპერო თეატრის ფილიალში გაიმართა დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის საღამო, რომელიც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო.

საღამოზე შეიკრიბნენ სამამულო ომის ვეტერანები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის ლეკმორთა ჯგუფის სამხედრო-პატრიოტული სექციის ხელმძღვანელმა გ. ფაჩუაშვილმა. მოხსენებით: „მათი სახელები დაუვიწყარია“ გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ფრუიძე.

საღამოს მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თადარიგის გენერალის პ. ჩხობაძის, საბჭოთა კავშირის გმირის ლ. ავალიანის დედის ნინო ავალიანის, ბუზნეველების საკონცერტო ბანაკის ყოფილი ტყვეების ე. თავაძის და ს. კვეთილაძის, მოსკოვის დაცვის მონაწილის მ. ნინუას, ბელორუსიის ყოფილი პარტიზანის მწერალ დ. კვიტარაძის, ტუსელის აჯანყების მონაწილის გ. ჯიშკელიანიშვილის და სხვათა მოგონებები.

საღამოს მონაწილეებს უჩვენეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

## ბალდელები არ ივიწყებენ

ბეგეჭორი. (საკ. კორ.). დიდი სამამულო ომის დამთავრების 25 წლისთავისათვის სოფელ ბალდა-გაჭედილის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ტერიტორიაზე აიგო შინმოუსელელთა სტენდი, სადაც გამოფენილია სურათები ბალდელი ვაჟკაცებისა, რომლებიც გმირულად დაეცნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

მშრომელები პატივს სცემენ თავიანთ სასიქადულო შვილთა ხსოვნას.

# ცრემლი და სიხარული

**1945 წლის მაისი.** ჩეხოსლოვაკიის მიწაზე გააფთრებული ბრძოლებია. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა არმიების ერთობლივი შეტევით მტერი განდევნეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან. ერთ ცხარე ბრძოლაში ქ. კოლინთან, პრაღიდან 60 კილომეტრზე, გმირულად დაიღუპა ქართველი ვაჟკაცი, უფროსი ლეიტენანტი დავით კალენიკეს-ძე რობაქიძე. ამ შემთხვევამ უსაზღვრო გულისტკივილი გამოიწვია მის თანამებრძოლებსა და კოლინის მოსახლეობაში.

**დავითის დასაფლავება** დაღუპვის ადგილზე გადაწყდა. მაგრამ კოლინის მშრომელებმა სამხედრო ნაწილს თხოვეს: „ჩვენ ქალაქ კოლინის მცხოვრებლები და სოფელ კარანოვიცის მკვიდრნი გთხოვთ გამოგვაკანონთ უფროსი ლეიტენანტის დავით რობაქიძის ცხედარი. ჩვენს ვალად მიგვაჩნია იგი დავკრძალოთ ჩვენს სასაფლაოზე და მას როგორც ქ. კოლინისათვის გმირულად მებრძოლს, უკვდავსაყოფად ავუგოთ ძეგლი“...

ასეც მოხდა. დ. რობაქიძე მხედრული წესით დაკრძალეს სოფელ კარანოვიცეში. დასაფლავებას ესწრებოდნენ დავითის თანამებრძოლები, ჩეხი მოსახლეობა. ქართველ ოფიცერს მადლიერმა ჩეხმა ხალხმა ძეგელი აუგო, უკვდავყო მისი სახელი და მოვლას არ აკლებენ ქართველი ვაჟკაცის საფლავს...

ამ ამბიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ დავითის ახლობლებმა ზუსტად არ იცოდნენ სად იყო მისი საფლავი. მისი მოძებნა თავს იდო დავითის ბიძაშვილმა, თადარიგის მაიორმა გ. რობაქიძემ. მან ჯერ კიდევ 1962 წელს ბარათი გაუგზავნა გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქტორს და დახმარება სთხოვა დავით რობაქიძის საფლავის აღმოჩენაში. რედაქტორს თხოვნა უყურადღებოდ როდი დაუტოვებია, მაგრამ დავითის საფლავის ძებნას შედეგი არ მოყოლია...

გაზეთმა „პრავდამ“ 1964 წელს გამოაქვეყნა ჩეხი ჟურნალისტის პაველიას წერილი. მან ინახულა საბჭოთა მეომრების საფლავი მოსკოვში. მაიორმა გ. რობაქიძემ ახლა ჩეხ ჟურნალისტს სთხოვა დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული დ. რობაქიძის საფლავის მოძებნაში. მალე მოვიდა წერილი ჩეხი ჟურნალისტისა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ყველაფერს იღონებდა დ. რობაქიძის საფლავის მოსაძებნად. მართლაც, მას ჩეხოსლოვაკიის ყოველ კუთხეში გაეგზავნა ბარათი თხოვნით დ. რობაქიძის საფლავის მოსაძებნად...

1967 წლის ოქტომბერში ჩეხოსლოვაკიიდან წერილი მოვიდა. იგი იტყობინებოდა: ქ. კოლინის მახლობლად სოფელ კარანოვიცაში განისვენებს საბჭოთა არმიის უფროსი ლეიტენანტი დ. კ. რობაქიძე. ჩვენ, მრავალჯერ ვცადეთ მოგვეძებნა გმირის ნათესავები, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ჩეხი პავლიკის მეშვეობით ჩვენი ოცნება სინამდვილედ იქცა“.

თადარიგის მაიორი გ. ი. რობაქიძე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოებამ მიიწვია დ. რობაქიძის საფლავის სანახავად. გ. რობაქიძე იგონებს რა გულთბილად შეხვდნენ მას კოლინის და პრაღის მშრომელები.

— ყვავილების თაიგულებით შეგამკე დ. რობაქიძის საფლავი, მასზე საქართველოდან წაღებული მიწა მოვაყარე. კარანოვიცის მშრომელებმა დიდი, წარწერიანი გვირგვინი მოიტანეს... სიხარულისა და მწუხარების ცრემლებს ვღვრიდი, ქვითინებდნენ ჩეხი მეგობრებიც... საფლავთან გამართულ მიტინგზე, სადაც საპასუხო სიტყვით მეც გამოვედი, ბევრი ითქვა საბჭოთა არმიის ძმურ დახმარებაზე, მის ინტერნაციონალურ მოვალეობაზე, ჩეხი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე.

ყველაზე მეტად ამაღელვებელი იყო შეხვედრა კარანოვიცის კულტურის სახლში. აქ თავი მოეყარათ სოფლის მშრომელებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს... ჩემთვის მოულოდნელად ჩეხი რ. ეიგოგის უმცროსმა შვილმა გადმომცა წითელ კოლოფში სათუთად ჩადებული დავითის უბის წიგნაკი და სისხლში ამოსვრილი სუთათი (ისინი რ. ეიგოგს შეუნახავს). ეს დოკუმენტები მოწიწებით წამოვიღე და ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადავეცი...

დავითის სახელის უკვდავსაყოფად კარანოვიცის ერთ-ერთ ქუჩას დ. რობაქიძის სახელი უწოდეს, — ამბობს გ. რობაქიძე...

დავით კალენიკეს-ძე რობაქიძე შრომისმოყვარე და მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მან 1938 წელს წარმატებით დაამთავრა ჩხარის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1939 წელს დავითი არმიაში გაიწვიეს და არტილერიის უმცროს-მეთაურთა სკოლაში ჩარიცხეს, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

პირველი საბრძოლო წათლობა დავითმა თეთრ ფინელებთან მიიღო, აქ თავი გამოიჩინა, როგორც შეუპოვარმა და გაბედულმა მებრძოლმა. სამამულო ომმა არმიაში მოუსწრო და ლვოვთან ჩაება საბჭოთა-საფინოცოსტლო ბრძოლებში. მან საბელოვანი გზა განვლო და სარდლობის საბრძოლო ჯილდოები დაიმსახურა. ომის დასაწყისშივე დავითი მშობლებს წერდა: „მართალია, ფაშისტებმა ხელი იგდეს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის მცირე ნაწილი, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელ დამპყრობლებს. დადგება დრო, როცა მტერი განადგურებული იქნება, ჩვენი ხალხი გამარჯვებას იზეიმებს“...

ეს დღეც უკვე მოახლოებული იყო, მაგრამ დ. რობაქიძე მაინც ვერ მოესწრო ამ ზეიმს, მაგრამ მისი სახელი უკვდავია. მას მოწიწებით იგონებენ არა მარტო ჩვენში, არამედ მოძმე ჩეხოსლოვაკიაში, რომლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში იგი დაეცა. მის მარმარილოს ძეგლზე რუსულ, ქართულ და ჩეხურ ენებზე ამოკვეთილია სიტყვები: „სამარადისო დიდება სამშობლოსათვის ბრძოლებში დაცემულ გმირებს“...

**პ. ჭიოკაძე.**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ბრძოლებგამოვლილი

**ფრონტზე** შალვა ქიტოშვილი ომის პირველი დღეებიდანვე მოხვდა. ომი რომ დაიწყო, იგი ოცეულს მეთაურობდა, ხოლო 1943 წლის ზაფხულში, პოლკირთან გამართული დიდი ბრძოლების დროს იგი უკვე ბატარეიას მეთაურობდა და მომწიფებულ მეთაურად გამოიჩინა თავი. იგი უნარიანად მართავდა ცეცხლს, სწრაფად და ზუსტად განსაზღვრავდა მანძილს მიზნებამდე. ცეცხლის ალში და აფეთქებათა გრუხუნში ზედიზედ რამდენიმე საათს იგერიებდნენ ქიტოშვილის ბატარიის არტილერისტები მოწინააღმდეგის ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების შემოტეგას. მძიმედ დაჭრილი საბჭოთა მეომრები თავიანთ საბრძოლო საგუშაგოებს არ ტოვებდნენ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რჩებოდნენ ქვემეხებთან. ბრძოლაში დაიღუპნენ ოცეულის საუკეთესო მეცეცხლეები ლეიტენანტი ემეცი და სერჟანტი ანტონოვი. მაგრამ ბატარეამ ქიტოშვილის მეთაურობით მაინც წარმატებით შეასრულა საბრძოლო დავალება.

ომი შალვა ქიტოშვილმა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიაში კაპიტნის ხარისხით, როგორც საარტილერიო დივიზიონის მეთაურმა.

1948 წელს შალვა ივანეს-ძე შევიდა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჯარში მუშაობს და უჭირავს დაზვერვის შტაბის ოფიცრის, შემდეგ დივიზიის დაზვერვის უფროსის თანამდებობა.

1958 წლიდან ამხ. ქიტოშვილი მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიის აუდიტორია.

1945 წლის მაისი. ჩეხოსლოვაკიის მიწაზე გააფთრებული ბრძოლებია. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა არმიების ერთობლივი შეტევით მტერი განდევნეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან. ერთ ცხარე ბრძოლაში ქ. კოლინთან, პრაღიდან

# სახელოვანი გზა

კონსტანტინე ვეფხვაძე სამეცნიერო სარბიელზე გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში და მის შემდეგ მთელი თავისი შესაძლებლობით, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და პატრიოტული სულისკვეთებით იღვწის ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა მედიცინის განვითარებაში. არის ონკოლოგიაში ბევრი ახალი სიტყვის ავტორი. საქართველოში იგი ითვლება მედიცინის ამ დარგის განვითარების მესვეურად.

პროფესორმა კ. ვეფხვაძემ ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მეტად საინტერესო და რთული გზა განვლო. 45 წლის წინათ, 1924 წელს კ. ვეფხვაძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც ქართული ქირურგიის მამამთავარი გ. მუხაძე ხელმძღვანელობდა. გამოჩენილმა დასტაქარმა დიდი როლი შეასრულა კ. ვეფხვაძის, როგორც ქირურგის ჩამოყალიბებაში.

ახალგაზრდა, ნიჭიერი ქირურგი ამ პერიოდში დიდი ყურადღებით ეცნობოდა მედიცინის მეცნიერებათა მოსაზღვრე დარგებს და განსაკუთრებით დაინტერესდა აეთოსებიანი სიმსივნეების ეტიოლოგიით, დიაგნოსტიკითა და მკურნალობით.

1934-1935 წლებში კ. ვეფხვაძე ლენინგრადშია. აქ იგი დიდი მონდომებითა და მეცნიერული გატაცებით მუშაობს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში პროფ. ნ. პეტროვის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მეცნიერმა აქვე დაწერა სადოქტორო დისერტაცია.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. კ. ვეფხვაძემ ჩვეული ენერგიითა და ღრმა პატრიოტული შემართებით მოჰკიდა ხელი დაჭრილ მეომართა მკურნალობის დიდმნიშვნელოვან საქმეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარული სამმართველოს მთავარი ქირურგი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ევაკოჰოსპიტლების სამმართველოს მთავარი ქირურგი, მთელი რიგი ევაკოჰოსპიტლების კონსულტანტი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ერთ-ერთი ქირურგიული კათედრის ხელმძღვანელი, — ასეთია კ. ვეფხვაძის მიერ ომის წლებში გავლილი გზა.

1945 წლიდან კ. ვეფხვაძე სასახელოდ განაგებს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ვეფხვაძის მეცნიერული მოღვაწეობა. დიდი ერუდიციის მკვლევარის კალამს ეკუთვნის 87 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ღვაწლმოსილი მეცნიერის სახელმძღვანელოები „ზოგადი ქირურგია", „აეთვისებიანი სიმსივნეები" და „ონკოლოგია" დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ღვაწლმოსილ პროფესორ კ. ვეფხვაძეს სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს. ჯუსტრეთ ღვაწლმოსილ მეცნიერს მრავალ წელს ბედნიერი სიცოცხლე.

**რ. ჩიქოვანი,**

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური კლინიკური ონკოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.**

# დიდი ღვაწლი

**დაბადების** 70 და სამეცნიერო, საექიმო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა დიდ მეცნიერსა და კლინიცისტს, საბჭოთა ენდოკრინოლოგიის მამამთავარს ვ. ი. ბარანოვს.

საგაზეთო წერილში ამ გამოჩენილი მეცნიერის ღვაწლისა და დამსახურების მხოლოდ ჩამოთვლაც კი ძნელია.

ამ კაცის სახელთან ორგანულად არის დაკავშირებული თანამედროვე საბჭოთა კლინიკური ენდოკრინოლოგიის შექმნა და განვითარება. სწორედ მისი დიდი შრომისა და ღვაწლის შედეგია, რომ მედიცინის ეს ჩამორჩენილი დარგი ომამდე ასე წაიდა წინ და ფრონტის ფლიო ასპარეზზე მოწინავე მსოფლიოს ბოხლები უჭირავს.

ვ. ბარანოვის დამსახურებათა დიადი ჯამ, ამ სერიოზული დიაბეტის მკურნალობის საქმეში. ავადმყოფობის მიერ წამოყენებული და დამტკიცებული ბაქრიანი დიაბეტის შეიებულების თანამედროვე და მეცნიერულად ... პრინციპები, რაზეც ... ... მთლიანად დაფუძნებულია ჩვენს ქვეყანაში დიაბეტის მკურნალობის ოფიციალური ზოგადი ინსტრუქცია ექიმებისათვის. შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის ეს მეთოდი საბჭოთა მედიცინის მნიშვნელოვანი მიღწევაა და საერთაშორისო აღიარებაც ჰპოვა: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული თანამედროვე საერთაშორისო ინსტრუქციაც შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის საკითხებში ძირითადად შემუშავებულ იქნა აკად. ბარანოვის შეხედულებათა მიხედვით.

არ არის კლინიკური ენდოკრინოლოგიის თითქმის არც ერთი საკვანძო საკითხი, რომლის დამუშავებაში აკად. ვ. ბარანოვს თავისი წვლილი არ შეეტანოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტალური გამოკვლევანი კლიმაქტერიული მდგომარეობის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხებში.

აკად. ვ. ბარანოვს ახლო მეცნიერული ურთიერთობა და მეგობრობა აქვს ქართველ მედიკებთან, ჩვენი რესპუბლიკის კლინიკური (თერაპიული) ენდოკრინოლოგიის განვითარება მუდმივად არის დაკავშირებული ვ. ბარანოვის სახელთან. იგი საქართველოში ენდოკრინოლოგიის განვითარების საქმის დიდი ქომაგია. საერთოდ მას უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი. იგი მუდამ განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობა ბის კლინიკებსა და ლაბორატორიებში საქართველოდან სავუშაოდ და სასწავლებლად ჩასულ ექიმებსა და მეცნიერ მუშაკებს. აგრეთვე ავადმყოფებს, რომლებიც მის კვალიფიციურ დახმარებას საჭიროებენ. ყველას ხიბლავს ამ დიდებული ადამიანის თავაზიანობა და გულისხმიერება.

ქართველი ენდოკრინოლოგები, ქართული სამედიცინო საზოგადოება დაბადების 70 წლისთავს ულოცავენ დიდ საბჭოთა მეცნიერს და კლინიცისტს, აკადემიკოს ვ. ბარანოვს და უსურვებენ მას კიდევ დიდი ხნის აქტიური და ნაყოფიერ ცხოვრებას, ახალ-ახალ შემოქმედებითს მიღწევებს.

**ვ. ლეკიშვილი,**

**ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.**



# ფოტოგამოფენა „ახალი ამბების სააგენტო—69"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბების სააგენტოში გაიხსნა მორიგი ყოველწლიური ფოტოგამოფენა „აას-69". ამ გამოფენაზე წარმოდგენილია 64 ფოტოკორესპონდენტის 800-მდე ნამუშევარი. ეს ახალი ამბების სააგენტოს სათვალავით მეშვიდე გამოფენაა. ტრადიციის მიხედვით სააგენტოს ფოტოჟურნალისტები აჯამებენ თავიანთი გასული წლის მუშაობის შედეგებს.

იუბილესწინა წელს ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტებმა მოიარეს ულიანოვსკი, ყაზანი, ლენინგრადი, შუშენსკოე, კრასნოიარსკი, რაზლივი და თავიანთ ფოტოსურათებში ასახეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. დღეს, ბუნებრივია, რომ ამ სურათებმა წამყვანი ადგილი დაიკავა იმ ფოტოსურათების უდიდეს ნაკადში, რომლებიც სააგენტომ 1969 წელს საზღვარგარეთ გაგზავნა, და ასახვა ჰპოვა გამოფენის ექსპოზიციაში. სააგენტოს კორესპონდენტები თავიანთ ფოტოსურათებში აჩვენებენ ლენინური იდეების განხორციელებას საბჭოთა ქვეყანაში.

გამოფენაზე დემონსტრირებულია ახალი ამბების სააგენტოს ფოტოჟურნალისტთა სურათები საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნიდან, რომლებშიც ისინი იყვნენ, — გენადი შჩერბაკოვისა და ლევ ნოსოვისა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ვალერი შუტკოვისა ნიდერლანდიდან, ბელგიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მიხეილ კულეშოვისა მაროკოდან, იური აბრამოჩკინისა ჩეხოსლოვაკიიდან და სხვებისა.

„აას-69" გამოფენაზე ბევრია ფოტონარკვევი და ფოტორეპორტაჟი, რომლებსაც სულ უფრო მეტი ადგილი უჭირავს ახალი ამბების სააგენტოს ფოტოჟურნალისტთა შემოქმედებაში.

წელს სიახლეა ფერადი ფოტოსურათები, რომლებიც დაბეჭდილია დიაპოზიტივებიდან სპეციალურ ქაღალდ-პლასტიკზე. ფერადი დიაპოზიტივების შექმნაზე ახლა მუშაობს ახალი ამბების სააგენტოს თითქმის ყველა კორესპონდენტი — ცენტრალურ აპარატშიც და პერიფერიაშიც.

* * *

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები — მარცხნივ ზემოთ — .მოსკოვი ჩემი — ქვეყანაა ჩემი... (ფოტო ი. დენისენკოსი); ქვემოთ — იქნება ილზე ჰიდროელექტროსადგური (ფოტო ი. ბუნინოვიჩისა); მარჯვნივ ზემოთ — ყველგან ახალი ამბებია (ფოტო შ. მორენოსი); ქვემოთ — პენტაგონის სამიზნეები (ფოტო ბ. შჩერბაკოვისა).



# ფიგურისტთა ფორუმი

იუგოსლავიის ქალაქი ლუბლიანა დიდი ასპარეზობის არენა გახდა. აქ რამდენიმე დღეა გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში.

წყვილთა შემდეგ მედლების კომპლექტი გათამაშდა ვაჟთა ერთეულებისათვის. ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ტ. ვუდსა და ჩეხოსლოვაკიელ მოციგურავე ო. ნეპელას შორის. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ტ. ვუდი. ო. ნეპელა ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფიგურისტმა გ. ცოლერმა. საბჭოთა სპორტსმენებმა ს. ჩეტვერუხინმა და ს. ჯოლკოვმა მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.

ცეკვებში დასკვნითი ასპარეზობა ნებისმიერი პროგრამით გუშინ გვიან ღამით გაიმართა. ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობს ლ. პახომოვა — ა. გორშკოვსა (მოსკოვი) და ჯუდი შეიიმეიერ-ჯეიმს სლადკის შორის. სავალდებულო პროგრამის შემდეგ წინ არიან ამერიკელები.

# ხიფათს გადაუურჩენ...

## თბილისის ტურის მეოთხე დღე

**ჩემპიონატის** მონაწილეებთან ერთად მაყურებლებმაც დაისვენეს ერთი დღით. ეს მოხდა 5 მარტს. გუშინ კი „სამუშაო დღე" გახლდათ და შეიძლება ითქვას მეტად დაძაბულიც. განვლილ ტურს გათამაშების ცხრილზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია — ლიდერები ლიდერებად დარჩნენ, აუტსაიდერები — აუტსაიდერებად. სპრინტი ადგილების კანდიდატებად არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის, კაუნასის „ჟალგირისის", კიევის „სტროიტელის", ლენინგრადის „სპარტაკისა" და ტარტუს „კალევის" გუნდები რჩებიან.

ცსკა-სა და ნაკრების მოთამაშე. მაღალი ტანის ანდრეევი საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ყოველი გუნდისთვის პრობლემა გახლავთ. გუშინ „ჟალგირისიც" ამ დღეში აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ კაუნასელებს თავიანთ რიგებში მაღალი მოთამაშეები თითქმის არც კი ჰყავთ. ისიც აღსანიშნავია, რომ „ჟალგირისის" დირიჟორს პაულაუსკასს ამ დღეს თამაში არ გამოუვიდა.

არმიელ კალათბურთელებს დიდი ჯაფა არ დასჭირებიათ იმისათვის, რომ ხელი ეგდოთ ინიციატივა და თამაში თავიანთ სასარგებლოდ წარემართათ. ცსკა წინ იყო 6 ქულით, გარდატეხა მხოლოდ მერვე წუთზე მოხდა, კაუნასელებმა გაათანაბრეს ანგარიში 16:16. შემდეგ ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს — 18:18, 20:20. მაგრამ ეს იყო და ეს, ანდრეევის ტყორცნები თითქმის ყოველთვის მიზანს ხვდებოდა, ცსკა დაწინაურდა 10 ქულით. არმიელებმა ადვილად მოიგეს ტაიმი — 53:32. 20 ქულის ავტორი ანდრეევი იყო.

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მეორე ნახევარში „ჟალგირისი" თითქოს შეურიგდა წაგებას და დამარცხდა 39 ქულის სხვაობით — 59:98.

ამ მატჩამდე გაიმართა 3 შეხვედრა. მათ შორის მოულოდნელი ტარტუს „კალევისა" და აუტსაიდერის — ალმა-ატის „ლოკომოტივის" თამაში აღმოჩნდა. ალმაატელები ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე წინ იყვნენ და გამარჯვების შანსებსაც კი ინარჩუნებდნენ, მაგრამ რამდენიმე შეცდომამ მათი მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა. წარმატება „კალევს" ხვდა 91:86. როგორც მოსალოდნელი იყო, ლენინგრადის „სპარტაკმა" ძლია სვერდლოვსკის „ურალმაშს" 91:58. მოსკოვის „დინამოსა" და რიგის სკა-ს შეხვედრის შედეგია 78:75 დინამოელთა სასარგებლოდ.

თბილისის „ბურევესტნიკს", გარეში 14 ქულით, ეგ. ... ... ...